

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-07/11943
10/10/2018

11943-2-07-2-201810101029



ააიპ საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS Reformanda)
ფაქტ-მეტრის (FactCheck) რეგიონული ანალიტიკოსი
ქალბატონ ნინო ჩიბჩიური
(მის: ქალაქი გორი, ბერუაშვილის №12
ელექტრონული მისამართი: ninochibchiuri@gmail.com)
მობ: 598 55 85 02

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 26 სექტემბერს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (შემდგომში-დეპარტამენტი) შემოვიდა თქვენი 2018 წლის 26 სექტემბრის განცხადება (დეპარტამენტში რეგისტრაციის №19604/2) (შემდგომში-განცხადება), რომლითაც ითხოვთ ხიდისთავი-ატენი-ბოშურის 10 კმ-იანი მონაკვეთთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას. თქვენი განცხადებით მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, შემდეგ:

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხიდისთავი-ატენი-ბოშურის კმ12.4 - კმ22.5 (10.01კმ) მონაკვეთის რეაბილიტაცია მიმდინარეობს დეპარტამენტსა და კომპანია „AGT MENEGMENT, MESLEHET, TIKINTI XIDMETLERI MMC“-ს შორის 2017 წლის 2 მაისს გაფორმებული SRAMP/CW/NCB-05 ხელშეკრულების ფარგლებში. აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო 2017 წლის 22 მაისს, ხოლო სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 2018 წლის 22 მაისი.

ნიშნდობლივია, ის გარემოება, რომ ინჟინერის მხრიდან გარკვეული ტიპის შენიშვნებიდან გამომდინარე, დოკუმენტაციაში კორექტირების შეტანას დასჭირდა დაგეგმილზე მეტი დრო. ამასთან, საწყის ეტაპზე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გაუსაძენისა და სოფლის სასმელი წყლის მიღების მშენებლობის გამო, შეუძლებელი შეიქმნა სამობილიზაციო სამუშაოების განხორციელება, რამაც 2-3 თვით შეაფერხა მანქანა მექანიზმების ობიექტზე მობილიზება. აღასნიშნავია ის ფაქტიც, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე და სამუშაოების დაწყების შემდგომ ადგილობრივი მოსახლეობა გამოთქვამდა პრეტენზიას მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საავტომობილო გზის მშენებლობისა და საცხოვრებელი სახლების დაზიანებასთან დაკავშირებით, რის გამოც სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთზე შეფერხდა პროექტით გათვალისწინებული მიწის სამუშაოები და საჭირო გახდა განსახლების პროცედურების განხორციელება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამუშაოების დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ მოხერხდა და შესაბამისად ხელშეკრულების 2018 წლის 22 მაისის დანართი №1 შესაბამისად, სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდა 2018 წლის 22 ოქტომბრამდე.

ამ ეტაპზე, აღნიშნული მონაკვეთის 4 კმ-ზე მოწყობილია ასფალტ-ბეტონის საფარი, ხოლო დარჩენილ 6 კმ-ზე მიმდინარეობს ხელოვნური ნაგებობების მოწყობის სამუშაოები. მასთან, ვინდაიდან, საპროექტო სამუშაოების განხორციელებისას საჭირო გახდა ადგილობრივი მოსახლეობის მიმდებარე ნაკვეთებში შესვლა, მოსახლეობასთან მოლაპარაკების წარმოება და განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება, განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადების პერიოდში, დონორი ორგანიზაციის მიერ კონტრაქტორს აკრძალა სამუშაოების წარმოება პრობლემურ მონაკვეთებზე, რაც თავისთავად იწვევს სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შეფერხებას. დეპარტამენტმა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციისგან (მსოფლიო ბანკი) მიიღო სამშენებლო

მონაკვეთისათვის განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე თანხმობა და ამჟამად ახორციელებს განსახლებისათვის საჭირო შესაბამის პროცედურებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია საჭირო გახდეს კონტრაქტორისთვის სამუშაოების დასრულებისთვის უკვე გაგრძელებული ვადის კიდევ ერთხელ გაგრძელება, განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების დასრულების შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას დააკონკრეტოს თუ როდის დასრულდება სრულად დაგეგმილი სამუშაოები და როდის მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა.

პატივისცემით,

ფიქრია კვერნაძე



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული სამსახური